



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი თეოფილე იოსების ძე



თ. კანდელაკი ოჯახთან ერთად

კანდელაკი თეოფილე იოსების ძე [3 (15). III. 1855, სამტრედია, - 17. X. 1931, გორი], პედაგოგი, პუბლიცისტი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. დაამთავრა ქუთაისის ვაჟთა I გიმნაზია (1873) და პედ. სასწავლებელი (1878). 1878-80 მუშაობდა ქუთაისის სას. სემინარიაში. 1880-იდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გორში. 1898- იდან აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ-ბის მუშაობაში. 1922 დაბა მეჯვრისხევში დააარსა მუშათა სკოლა, რ-საც ხელმძღვანელობდა 1930-მდე. კ. ავტორია საყმაწვილო ლექსებისა; იბეჭდებოდა ჟურნ. "ნაკადულსა" და "ჯეჯილში".

თ. ალიბეგაშვილი
